სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

05 / ივნისი / 2024 წ.

KA080115898516524

№ **1599**

განკარგულება

შპს „დაგო ჯგუფის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „თბილსერვის ჯგუფი“;

ტენდერის ნომერი: NAT230025921;

შესყიდვის ობიექტი: 39800000 - საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია;

მიმწოდებელი: შპს „დაგო ჯგუფი“ (ს/ნ: 448405146);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. **ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 16 მაისს წარმოდგენილ იქნა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2024 წლის 16 მაისის № 62-0124137118 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 4116), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „დაგო ჯგუფის“ (ს/ნ:448405146) მიერ NAT230025921 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 25 იანვრის № 30-028 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის dago.batumi@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 20 მაისის № 1509 წერილით აცნობა, სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. **შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2024 წლის 25 იანვრის № 30-028 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

3. **მიმწოდებლის პოზიცია**

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. **სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2024 წლის 25 იანვარს, NAT230025921 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, შპს „თბილსერვის ჯგუფსა“ და შპს „დაგო ჯგუფს“ (ს/ნ: 448405146) შორის დაიდო № 30-028 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უნდა მიეწოდებინა ავტომანქანების უკონტაქტო რეცხვის სითხე. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 52 200 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 31 იანვარი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 8 აპრილის № 62-01240994116 წერილით დგინდება, რომ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა მხარეთა შორის შეთანხმებულ ტექნიკურ პირობებს. ამავე წერილით მიმწოდებელს ეთხოვა, 10 სამუშაო დღის ვადაში განეხორციელებინა მიწოდებული პროდუქციის შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

4.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 16 აპრილის № 001/04 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მწარმოებელმა შეცდომით გამოგზავნა სხვა პარტიიდან საქონელი, რაც ჩანაცვლებული იქნა მიწოდებული ნიმუშის იდენტური საქონლით. ამასთან, პროდუქცია იყო იმავე მახასიათებლების, რაც გააჩნდა მხარეთა შორის შეთანხმებულ საქონელს. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მიწოდებული საქონლის ჩანაცვლებას არ განახორციელებდა.

4.4. 2024 წლის 24 აპრილის ინსპექტირების დასკვნით დგინდება, რომ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

4.5. შპს „თბილსერვის ჯგუფის" ნარჩენების ლოჯისტიკისა და დასუფთავების დეპარტამენტის სამსახურის უფროსის 2024 წლის 2 მაისის № 62-01241233206 წერილით ირკვევა, რომ მიწოდებული საქონელი არ აკმაყოფილებდა ტენდერში გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ: აღნიშნული სარეცხი სითხე იყო უხარისხო, რის გამოც ვერ ხორციელდებოდა ავტომანქანების სრულყოფილად რეცხვა.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 14 მაისის №62-01241351665 წერილით ირკვევა, რომ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ მოთხოვნებს. ამავე წერილით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

4.7. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდა 13 920 ლარის პროდუქცია, რაც ხელშეკრულების ღირებულების 27%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. **შემაჯამებელი დასკვნა**

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „დაგო ჯგუფი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. **გამოყენებული სამართლებრივი აქტები**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. **სამართლებრივი შეფასება**

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3 განსახილველ შემთხვევაში სააგენტო აღნიშნავს, რომ მიმწოდებელი, როგორც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მხარე, პასუხს აგებს მწარმოებელი თუ მომწოდებელი კომპანიის შერჩევაზე, შესაბამისად, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელის მიერ პროდუქციის მიუწოდებლობაზე/ მიწოდების დაგვიანებაზე და ასევე მიწოდებული პროდუქციის ხარისხზე. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხოლოდ ნიმუშის პირობებთან შესაბამისობა ერთმნიშვნელოვნად არ გამორიცხავს უშუალოდ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის ხარვეზიანობას და პირობებთან შეუსაბამობას. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (მიაწოდა მისაწოდებელი საქონლის 27%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „დაგო ჯგუფი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „დაგო ჯგუფი“ (ს/ნ: 448405146) 2024 წლის 6 ივნისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტკიცებულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე